ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის არსებითი პირობები
ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #3

1. დაზღვევის ობიექტი

1.1. დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს:

1.1.1. ქონების დაზღვევის შემთხვევაში:

✓ შენობა - საწარმოო, ადმინისტრაციული, სოციალურ-კულტურული დანიშნულების და საზოგადოებრივი მოხმარების შენობა-ნაგებობები;

✓ ცალკეული ფართი შენობაში - ბინები, ოთახები, კაბინეტები, ოფისები, საამქროს ლაბორატორიები და სხვა;

✓ ინვენტარი, ავეჯი

✓ ინტერიერის საგნები;

✓ ორგ.ტექნიკა - კომპიუტერები, ფოტო ასლების გადამღები მანქანები და სხვა;

✓ საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობები - ტელევიზორები, მაგნიტაფონები, მაცივრები, სარეცხი მანქანები და სხვა;

<u>**შენიშვნა: (დაზღვევის ობიექტი ვერ იქნება ობიექტში არსებული რემონტი, ინტერიერის ნაწილები და ა.შ. დაზღვევის ობიექტი არის მხოლოდ კარკასი/კონსტრუქცია).**</u>

1.1.2. ქონების შიდა მოპირკეთების (რემონტის) დაზღვევის შემთხვევაში დაზღვევის ობიექტი არის შიდა მოპირკეთების დაზიანება (<u>**დაზღვევის ობიექტი ვერ იქნება ობიექტში ინტერიერის ნაწილები და კარკასი/კონსტრუქცია**</u>).

1.1.3. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობა. (აღნიშნული დაფარვა მოქმედებს მხოლოდ წყალგაყვანილობის და სადრენაჟო სისტემებიდან გამონადენი წყლის, ქვაბებიდან ან მილებიდან წყლის ამოხეთქვა ან გამოჟონვის, ხანძრის და აფეთქების რისკებზე).

1.2. დაზღვეულად ითვლება საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ოფიციალური ფართობი (მიუხედავად იმისა, ფაქტიურად რა ფართობს ფლობს დამზღვევი). და შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ ოფიციალურ ფართობზე.

1.3. წინამდებარე პირობების 1.1. პუნქტში მითითებული ობიექტების გათვალისწინებით, დაზღვევის ხელშეკრულებით დაუშვებელია მხოლოდ **ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის შეძენა.**

1.4. ერთი კონკრეტული დაფარვისთვის/ობიექტისთვის დადგენილი ლიმიტი/ქველიმიტი განკუთვნილია მხოლოდ ამ დაფარვისთვის/ობიექტისთვის და მისი ამუწურვის შემთხვევაში დაუშვებელია სხვა დაფარვისთვის განსაზღვრული ლიმიტის/ქველიმიტის გამოყენება.

1.5. დაზღვევას არ ექვემდებარება და შესაბამისად მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი შემდეგი სახის ქონების დაზიანებაზე:

ა) ფული, ქვითრები, მარკები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო ბარათები, ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვები, ძვირფასი მეტალები, ძვირფასი ბეწვეული, იშვიათი და ექსკლუზიური ნივთები, იშვიათი წიგნები ან ხელოვნების ნიმუშები, მედლები, დოკუმენტები თუ ისინი სპეციალურად არ არის მითითებული დაზღვევის პოლისში და იზღვევა მხოლოდ შემდეგი რისკებისაგან: ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, საჰაერო ხომალდის ან მისი ნაწილების დაცემა, შეჯახება, მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, ვულკანის ამოხეთქვა, წყლის გადმოდინება, წყლის გამოჟონვა აპარატებიდან ან მილებიდან.

ბ) მინა, ფაიფურის, ფაიანსის, მარმარილოს ან სხვა ადვილად მსხვრევადი ნივთები.

გ) ნდობით ან კომისიაზე მიღებული საქონელი, დოკუმენტები, მანუსკრიპტები, საქმიანი წიგნები, კომპიუტერული სისტემები, ჩანაწერები, ნახაზები, ფორმები, ყალიბები, გეგმები, დიზაინი, ასაფეთქებლები თუ სპეციალურად არ იქნებიან მითითებული სადაზღვევო პოლისში.

დ) სავაჭრო ავტომატები, ბანკომატები, ფულის გადამცვლელი ავტომატები და მათი შიგთავსი (გარდა პოლისში მითითებული დამატებითი პირობებით გათვალისწინებული დაზღვევისა);

ე) კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები;

ვ) გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;

ზ) ნავთობქიმიური რისკები (ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები);

თ) ატომური რისკები;

ი) ცხოველები, მსხვილფეხა რქოსანი, წმინდასისხლის ცხოველები, შინაური ფრინველი;

კ) ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ლიცენზირებული საგზაო ტრანსპორტი (თავისი აქსესუარებით), ფურგონი, ტრაილერი, მისაბმელები, რკინიგზის ლოკომოტივები, საწყლო ხომალდები, თვითვმფრინავი, კოსმოსური ხომალდი ან სხვა მსგავსი.

ლ) გადაზიდვაში მყოფი ქონება, გარდა პოლისით განსაზღვრული დაზღვეული შენობის ფარგლებში გადაზიდვებისა;

მ) დანგრევის/აშენების ან მონტაჟის პროცესში მყოფი ქონება ან/და ამასთან დაკავშირებული ნივთები ან მასალები;

ნ) მიწა (მათ შორის ნიადაგის ზედაპირი, სადრენაჟო არხი, წყლის გამტარი მილი) გზა, ტროტუარი, ბილიკები, ასევე (თუ პოლისით სპეციფიკურად არ არის დაზღვეული)- სარკინიგზო ხაზები, დამბა და რეზერვუარი, არხები, ჭაბურღილი, ჭები, მილსადენები, გვირაბები, ხიდები, დოკები, დამბა, ქვაბულები, ნავმისადგომი, მაღაროები, მიწისქვეშა ქონება;

ო) ცოცხალი საქონელი, მარცვლეული კულტურა და ხეები;

პ) ქონება, რომელიც დაზიანდა მასზე ზემოქმედების პროცესში (მაგ: სამშენებლო სამუშაობის განხორციელებისას);

ჟ) მანქანა-დანადგარები ინსტალაციის, გადატანის ან გადაადგილების, მოხსნის (დემონტაჟი და მონტაჟი) ან გადაკეთების პროცესში, თუ ეს პროცესი უშუალოდ მოქმედებს მათზე;

რ) დასაზღვევი ობიექტი მდებარეობს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ადგილას;

ს) თუ შენობა–ნაგებობები და მასში არსებული სხვა ქონება იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში.

ტ) ე.წ. იტალიურ ეზოში არსებული შენობა-ნაგებობები.

2. <u>დაფარული რისკები</u>

2.1. <u>დაფარვა A</u>:

<u>2.2.1.</u> **<u>ხანძარი</u>** - ხანძარში, წინამდებარე პირობებზე დაყრდნობით, იგულისხმება დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისათვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ;

ხანძრის შედეგად დამგარი ზიანისას, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება - დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება დამდგარი თავისი ბუნებრივი ფერმენტაციით ან გათბობით ან/და თავისი მიმდინარე პროცესებით რომელშიც შედის სითბოს გამოყენება; ასევე ხანძარი გამოწვეული მიწისძვრის ან მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედებით. ხანძრის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია ხანძრის დაწყებიდან 48 საათის განმავლობაში.

<u>2.2.2.</u> **<u>მეხის დაცემა</u>** - ბუნებრივი გიგანტური ატმოსფერული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თა სდევს ქუხილი

<u>2.2.3.</u> **<u>აფეთქება</u>** - აფეთქების შედეგად დამგარი ზიანისას სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება განადგურება ან აფეთქება ბოილერის (გარდა ბოილერებისა, რომელიც გამოიყენება საშინაო მიზნებისათვის), ეკონომაიზერის, ან სხვა ხომალდის, მანქანა-დანადგარის, ან აპარატურის, რომელშიც ორთქლის შედეგად არის შიდა წნევა, და ექვემდებარება დამზღვევის/დაზღვეულის კონტროლს;

<u>2.2.4.</u> **<u>საჰაერო ხომალდის ან მათი ნაწილების დაცემა</u>** - იგულისხმება საჰაერო ხომალდიდან, ან მფრინავი ობიექტებიდან ჩამოვარდნილი მოწყობილობები ან ნაწილები.

<u>2.3. დაფარვა B:</u>

<u>2.3.1.</u> **<u>შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი -</u>** ზიანი ან დანაკარგი გამოწვეული პირდაპირ შტორმის, ქარიშხალის და/ან გრიგალის შედეგად.

სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება:

ა) სადრენაჟო სისტემების არასწორი შენახვით ან/და ექსპლუატაციით დამდგარი ზიანი ან განადგურება;

ბ) ქარით გამოწვეული ან მის გარეშე წვიმით დამდგარი ზიანი ან განადგურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული შენობის ან ქონების სახურავი ან კედლები ჯერ დაზიანდება შტორმის, ქარიშხალის ან გრიგალის შედეგად, და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიქმნება მზღვეველის პასუხისმგებლობა იმ ზარალზე, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას შტორმის, ქარიშხალის ან გრიგალის უშუალო ზემოქმედებით დაზიანებული ჭერიდან ან კედლებიდან წვიმის შეღწევით;

გ) შენობაზე ან მის შიგთავსზე დამდგარი ზიანი ან დანაკარგი, თუ ასეთი ზიანის ან დანაკარგის დადგომის მომენტისათვის შენობა იყო უკვე დაზიანებული, დეფექტურ მდგომარეობაში, დაცემული ან იყო გადაადგილებული, რაც ასევე შეეხება საძირკველს, კედლებს, ჭერს, სახურავს, წყალსაწრეტს, სახურავზე დამონტაჟებულ ფანჯრებს;

თ) სახელმწიფო ან საჯარო დაწესებულების განკარგულებით ან მოქმედებით ან ამდაგვარის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;

შტორმი, ქარიშხალი, გრიგალის, შემთხვევაში ერთ სადაზღვევო შემთხვევად განიხლება შტორმი, ქარიშხალი, გრიგალის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში.

<u>წყალდიდობა და სეტყვა</u> - წყალდიდობა ნიშნავს დაზღვეულ ობიექტში წყლის შეღწევას გარედან, ისეთი ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით და გამოწვეულია: არაჩვეულებრივად მაღალი ტალღით, ტაიფუნით, ქარიშხლით, გრიგალით ან ციკლონით, მდინარეების, რეზერვუარების, არხების და ა.შ. გადმოდინებით ან გახეთქვით. წყალდიდობის შემთხვევაში ერთ სადაზღვევო შემთხვევად განიხლება წყალდიდობის დაწყებიდან 168 საათის განმავლობაში.

2.3.1.2. წყალდიდობა და/ან სეტყვის შედეგად დამგარი ზიანისას სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება:

ა) სადრენაჟო სისტემის არასწორი შენახვის ან არასწორი სარგებლობის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;

ბ) ზაიანი ან დანაკარგი დამდგარი ღია ადგილას მდებარე შემდეგი სახის ქონებაზე: საქონელი მდებარე ღია ადგილზე, დრენაჟებზე, წყლის გაყვანილობებზე, ზღვრულ კედლებზე, ბაღის კედლებზე, საყრდენ კედლებზე, ჭიშკრებზე, ბოძებზე, ღობეებზე, სატრანსპორტო გზებზე, სასიარულო ბილიკებსა და დაშენებებზე;

გ) ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული ქვაბებიდან, მილებიდან და სხვა წყლის აპარატურიდან წყლის გადმოდინებით, გახეთქვით ან გამოჟონვით. ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული წყალსაწრეტებიდან ან დაკიდებული მილებიდან წყლის გადმოდინებით ან სახელმწიფო ან მუნიციპალური ჭაბურღილების გახეთქვით ან გადმოდინებით. ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული წყლის გაჟონვით, გამოსვლით ან შეღწევით სარდაფის კედლებში, მათ შორის კარებში, ფანჯრებში, და სხვა ღია ადგილებში, საძირკვლებში, მიწისქვეშა სართულებში და ბილიკებში, ან წყლით რომელიც გამოვიდა კანალიზაციის მილებიდან, სადრენაჟო მილებიდან: უხვი წყლით მიყენებული ზიანი ან დანაკარგი თუ პირდაპირ წყალდიდობის შედეგად არ არის დამდგარი;

დ) სახელმწიფოს ან სახელისუფლებო ორგანოს განკარგულებით ან ამდაგვარის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;

ე) ნებისმიერი სახის არაპირდაპირი ზიანი.

2.4. დაფარვა C

2.4.1. წყალგაყვანილობის და სადრენაჟო სისტემიდან გამონადენი წყლით დაზიანება

2.4.2. წყლის, ზეთის ან ნავთობის ქვაბებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა

2.4.1 და 2.4.2. ქვეპუნქტებში მითითებული დაფარვებისთვის სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება შემთხვევები, რომელიც შედეგია:

- დაზღვეულ შენობებზე ჩატარებული შეკეთების სამუშაოების ან ცვლილებების;
- სპრინკლერების სიტემების შეკეთების, ამოღების ან გაფართოების;
- მშენებლობაში არსებული დეფექტების, რომელიც დამზღვევისთვის დაზღვევის მომენტში ცნობილია.

2.4.3. ***ქვედაფარვა C1:*** **დაზიანებული წყალგაყვანილობის სისტემის აღდგენა -** წინამდებარე დაზღვევით არ დაიფარება წყალგაყვანილობის სისტემის ისეთი დაზიანებები, რომლებიც არ იქნება გამოწვეული დაზღვევის ხელშეკრულებასა და პოლისში მითითებული შერჩეული რისკებით.

2.5. დაფარვა D

2.5.1. მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედება - წინამდებარე დაზღვევით დაიფარება მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედება პირდაპირ რეგისტრირებული მიწისძვრის ბიძგით, ხანძრით პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული რეგისტრირებული მიწისძვრის დარტყმით.

2.5.1.1. მიწისძვრის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია მიწისძვრის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში.

2.5.1.2. მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედების შედეგად დამგარი ზიანისას, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება სახელმწიფოს, მუნიციპალური ან ადგილობრივი ორგანის მიერ გამიზნული განადგურებით გამოწვეული ყველანაირი შედეგობრივი ზარალი ან დანაკარგი.

2.5.2. შეჯახება

წინამდებარე დაზღვევით იფარება: შეჯახება საგზაო, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით ან ცხოველით, რომელიც არ ეკუთვნის დამზღვევს ან მის დაქირავებულ პირს და მათ კონტროლს არ ექვემდებარება.

2.6. დამზღვევის მიერ შესაძლებელია შერჩეული იქნას ერთი, რამდენიმე ან ყველა დაფარვა. დამზღვევის მიერ შერჩეული დაფარვები აღინიშნება სადაზღვევო პოლისში.

2.7. ქონება დაზღვეული უნდა იყოს განაცხადის შევსების მომენტისთვის მისი რეალური ღირებულების შესაბამისად.

2.7. დაფარვა E

2.7.1. დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევა (აღნიშნული დაფარვა მოქმედებს მხოლოდ წყალგაყვანილობის და სადრენაჟო სისტემებიდან გამონადენი წყლის, ქვაბებიდან ან მილებიდან წყლის ამოხეთქვა ან გამოჟონვის, ხანძრის და აფეთქების რისკებზე). - მზღვეველი აანაზღაურებს დამზღვევზე დაკისრებულ სამოქალაქო პასუხსმგებლობას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაზღვეული ქონების არასათანადო და დაუდევარი განკარგვის შედეგად წარმოიქმნება ხელშეკრულებაში (პოლისით/ხელშეკრულებით შერჩეული კონკრეტული დაფარვის შესაბამისად) მითითებული რომელიმე შემთხვევა და რომელმაც თავისმხრივ, ზარალი მიაყენა მესამე პირის (პირთა) ქონებას და/ან ჯანმრთელობას/სხეულს, გარდა იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც:

- წარმოქმნილი იქნება იმ ქონების დაზიანებით ან განადგურებით, რომელიც არ იმყოფება დამზღვევის კონტროლის ქვეშ და/ან დამზღვევის ნათესავების მფლობელობაში;

- აღემატება ხელშეკრულებით ან კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას;

- დაკისრებულია რაიმე ხელშეკრულების შესაბამისად ან საჯარიმო სანქციების სახით;

- ავეჯის/ქონებისათვის, რომლის წლოვანებაც აღემატება 50 წელს.

- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი; შიდა საყოფაცხოვრებო/საინჟინრო მოწყობილობებთან, ავეჯთან და საყოფაცხოვრებო ტექნიკასთან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესების დაზღვევისას ქონება დაზღვეული უნდა იყოს მისი რეალური ღირებულების შესაბამისად, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

- **ავეჯი** - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება წლიური 10% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელიც გამოიყენება ბოლო რესტავრაციის დასრულების ან შესყიდვის თარიღიდან;

- **შიდა საყოფაცხოვრებო/საინჟინრო მოწყობილობები ან საყოფაცხოვრებო ტექნიკა** - ახალი ანალოგის შეძენის ღირებულება წლიური 12% ცვეთის კოეფიციენტის გათვალისწინებით;

ყოველთვიური ცვეთა იანგარიშება წლიური ცვეთის მიხედვით - პროპორციულად, ამასთან, არასრული თვისთვის ცვეთა იანგარიშება ისევე როგორც სრული თვისთვის.

2.7.2. მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან, თუ დამზღვევმა თავად გამოიწვია მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დადგომა.

2.7.3. **წინამდებარე დაზღვევა ვრცელდება სხეულისა და ქონების ზიანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:**

- ასეთი სხეულის ან ქონების ზიანი გამოწვეულია შემთხვევით, რომელსაც ადგილი აქვს დაფარვის ტერიტორიაზე;
- ასეთი სხეულის ან ქონების ზიანი პირველად ცხადი გახდა და მზღვეველისთვის შეტყობინებული იქნა პოლისის პერიოდის განმავლობაში;
- პრეტენზია ან სარჩელი, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით ასეთი სხეულისა თუ ქონების ზიანისათვის, წარდგენილია პოლისით განსაზღვრულ დაფარვის ტერიტორიაზე.

2.8. დაფარვა F

2.8.1. **მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება** - რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების დაზიანების ან განადგურებისაკენ, ამასთან დაზღვევას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია აჯანყების, გაფიცვის, სამოქალაქო მღელვარებისა და ლოკაუტით დათხოვნილი მუშაკების ქმედების შედეგად.

2.8.2. **ქურდობა ან ამდაგვარის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა** - დაზღვევა ფარავს დაზღვეულ შენობაში მხოლოდ შემდეგი სახის ძალისმიერი შესვლის ან დაზღვეული შენობიდან გამოსვლის შემთხვევებს: პირის ან პირების დაზღვეული შენობის გარედან ბოროტმოქმედულად, ძალით შეღწევა, და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი ძალისმიერი შეღწევის ვიზუალური კვალი არის დატოვებული ხელსაწყოების, აფეთქების, ელექტროენერგიის ან ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით ან დაზღვეული შენობის ექსტერიერს ზიანი მიადგა შეღწევის ან/და გასვლის ადგილას. დაზღვეულის ან დაზღვეულის დაქირავებული პირის დაშინების, მუქარის ან მის მიმართ ძალადობის გამოყენების შედეგად ან ამასთან დაკავშირებით დაზღვეული ნივთების წართმევა.

2.8.3. **წინამდებარე დაზღვევა არ ფარავს ზიანს ან დანაკარგს, რომელიც მიადგა** - ეზოში ან ღია ცის ქვეშ მდებარე ქონებას; მინას; დამონტაჟებულ საგნებს ან არმატურას; იმ ქონებას, რომელიც არ ეკუთვნის დამზღვევს ან ეს უკანასკნელი არ არის მასზე იურიდიულად პასუხისმგებელი;

2.9.დამზღვევის მიერ შესაძლებელია შერჩეული იქნას ერთი, რამდენიმე ან ყველა დაფარვა. დამზღვევის მიერ შერჩეული დაფარვები აღინიშნება სადაზღვევო პოლისში.

2.10. ქონება დაზღვეული უნდა იყოს განაცხადის შევსების მომენტისთვის მისი რეალური ღირებულების შესაბამისად.

2.11. ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მზღვეველის მიერ წინამდებარე დაფარვის საფუძველზე ზარალის ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ დამზღვევის პასუხისმგებლობის მოცულობის შესახებ სასამართლოს/არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული მიზნით არცერთ შემთხვევაში არ იგულისხმება დამზღვევის/დაზღვეულის საზიანოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, კანონიერ ძალაში არის იგი შესული, თუ - არ;

2.12. მზღვეველს მისი დისკრეციით შეუძლია დაარეგულიროს პრეტენზია სასამართლოს/არბიტრაჟის გადაწყვეტილების გარეშე, თუ დამზღვევი დათანხმდება მზღვეველის შემოთავაზებას ასეთი ანაზღაურების შესახებ და გაათავისუფლებს ყოველგვარი სახის შემდგომი პასუხისმგებლობისგან/პრეტენზიისაგან შემთხვევასთან დაკავშირებით.

3. ზოგადი გამონაკლისები ყველა დაფარვისთვის

3.1. დაზღვევით არ იფარება ზარალი, რომელიც დადგა ან შედეგია:

3.1.1. დეფექტური ან დაზიანებული მასალისაგან ან ხელობისათვის დამახასიათებელი ფარული ნაკლით, პერმანენტული გაუარესებით, ბუნებრივი ცვეთით, დეფორმაციით.

3.1.2. გაფიცვა ან სამოქალაქო მღელვარება, თუ დაზღვევის პოლისით არ არის განსაზღვრული.

3.1.3. ტერორიზმის, ომის, საომარი მოქმედებების, მტრული მოქმედებების (მნიშვნელობა არა აქვს ომი გამოცხადებულია თუ არა ოფიციალურად) - სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლება.

3.1.4. რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებით.

3.1.5. რადიოაქტიური, ტოქსიკური ფეთქებადი და სხვა საშიში ნივთიერებებით.

3.1.6. დამზღვევის ან დაზღვეულის განზრახი ქმედებით, უხეში გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით.

3.1.7. ზიანი და დანაკარგი გამოწვეული პირდაპირ ან არაპირდაპირ დამზღვევის/დაზღვეულის ან მისი უფლებამოსილი პირის ქმედებით.

3.1.8. ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბუღალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;

3.1.9. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ;

3.1.10. ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი; ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვები; ძვირფასი და იშვიათი ლითონები მავთულის, ზოდის, ქვიშის, თვითნაბადი სახით და ძვირფასი ქვები დამუშავების და მოჭედვის გარეშე; ანტიკვარიატი, მათ შორის ავეჯი, რომლის ასაკი აღემატება 50 წელს, მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, და სხვა სახის კოლექცია, ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;

3.1.11. კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციაო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები; კომპიუტერული პროგრამები, ელექტროინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის საშუალებები (დისკები, კასეტები, მეხსიერების ბარათები და ა.შ);

3.1.12. საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები; გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;

3.1.13. ცხოველები; ფრინველები; ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები; ავტო- სატრანსპორტო საშუალებები;

3.1.14. ანძები, ანტენები, ღია ელექტრომავთულები, ტენტები და სხვა შენობა/ ნაგებობის გარეთა მხარეს მდებარე ქონება (აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება შენობა ნაგებობის გარეთ დამონტაჟებულ გათბობა/გაგრილების სისტემებს);

3.1.15. კვების პროდუქტები;

3.1.16. ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვეულ ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის დამზღვევს და არ არის მითითებული პოლისი - ხელშკრულების შესაბამის დანართში;

3.1.17. დაზღვეულად არ ჩაითვლება ის შენობები და ნაგებობები, ასევე იქ განთავსებული ქონება თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად;

3.1.18. ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით; ავტო-ფარეხი, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობი ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად;

3.1.19. მხატვრულად დამუშავებული მინები;

3.1.20. საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა ასაკი აღემატება 8 წელს;

3.1.21. დაზღვევას არ ექვემდებარება ისეთი ქონება, რომლის აშენების წელი არის 1955 წელი ან მანამდე პერიოდი. ამასთან, მზღვეველის ვებ. გვერდის საშუალებით (https://www.bbinsurance.ge) სადაზღვევო პროდუქტის შეძენის შემთხვევაში, დაზღვევას არ ექვემდებარება ისეთი საცხოვრებელ კორპუსებში განთავსებული საცხოვრებელი ფართები (ბინები), რომლის აშენების წელი არის 2000 წელი ან ნაკლები.

3.1.22. ზიანი, დანაკარგი ან პასუხისმგებლობა, რომელიც დადგა დამზღვევის ან მისი კონტრაქტორის მიერ სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს დაზღვეულ შენობაზე;

3.1.23. ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული დაბინძურებით (თუ სხვაგვარად არ არის დაშვებული გამონაკლისი), გარდა იმ შემთვევისა:

ა) თუ დაბინძურება გამოწვეულია მოულოდნელად, დაზღვეული შემთხვევის შედეგად;

ბ) დაბინძურების შედეგად დამდგარი ისეთი შემთხვევა/რისკი, რომელიც წინამდებარე დაზღვევით დაზღვეულია.

3.1.24. ყველანაირი შედეგობრივი ზიანი ან დანაკარგი, მათ შორის და არა მხოლოდ: შემოსავლების დაკარგვა, დანაკარგი გამოწვეული დაგვიანებით, დანაკარგი გამოწვეული ბაზრის წილის დაკარგვით.

3.1.25. დაზღვევის პერიოდში დაზღვეული შენობ(ებ)ის 6 კვირის მიტოვების შემთხვევაში დაზღვევა ჩაითვლება შეწყვეტილად, სანამ შენობ(ებ)ი დაუკავებელი იქნება, თუ სპეციალურად სხვა რამ არ შეთანხმდება.

3.1.26. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქმედება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე.

3.1.27. ხარჯები რომელიც დაკავშირებულია: არქიტექტორების, ექპერტების, ინჟინერ კონსულტანტების მოწვევასთან, ნარჩენებისგან გასაფუთავებასთან, რომელიც შესაძლოა მოყვეს სადაზღვევო შემთხვევას

2.1.28 სამაცივრე საწყობებში შენახულ მარაგებზე დამდგარი ზიანი, რომელიც გამოიწვია ტემპერატურის ცვლილებამ.

3.1.29. საქონლის გაფუჭებით დამდგარი ზიანი ან დანაკარგი, რომელიც შესაძლოა შედეგი იყოს ნებისმიერი პროცესის შეფერხების, შეჩერების, შეწყვეტის, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოხდა თუ არა დაზღვეული რისკის შედეგად.

3.1.30. მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით (მათ შორის, ქურდობით, ძარცვით ან ყაჩაღობით) გამოწვეული შემთხვევები;

3.1.31. თუ დამზღვევმა დაარღვია 5.1. პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მოთხოვნები.

3.2. **დაზღვეული ქონების ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირთა წინაშე წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევის (დაფარვა E) დაფარვის შემთხვევაში ანაზღაურებას არ დაექვემდებარება დამატებით შემდეგი შემთხვევები:**

3.2.1. სხეულის ან ქონების ზიანი, რომელიც მოსალოდნელია დაზღვეულის თვალთახედვით ან მან ასეთი განზრახ გამოიწვია. ეს გამონაკლისი არ ვრცელდება სხეულის ისეთ ზიანზე, რომელიც გამომდინარეობს ადამიანების ან ქონების დაცვის მიზნით გონივრულობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად.

3.2.2. ისეთი პასუხისმგებლობისა, რომელიც ნაკისრია დამზღვევის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ან შეთანხმების იმ ნაწილით, რომლითაც იგი კისრულობს სხვა პირის დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომით მესამე პირთა სხეულის ან ქონების ზიანის ანაზღაურებას, იმ პირობით, თუ სხეულის ან ქონების ზიანი დგება ასეთი ხელშეკრულების ან შეთანხმების აღსრულების შედეგად.

3.2.3. ომი, ტერორიზმი - ყველანაირი პასუხიმგებლობა დამდგარი შემდეგი შემთხვევების შედეგად, მიუხედავად სხვა მიზეზისა ან თანმდევი შედეგობრივი შემთხვევისა.

ა) ომის შედეგად დამდგარი ზიანი, დაპყრობა, მტრის მოქმედებები, მტრული მდგომარეობა, (მიუხედავად იმისა ომი ოფიციალურად გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომი, რევოლუცია, აჯანყება, სამხედრო ან უზურპირებული ძალის მოქმედება, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია, ქონების ჩამორთმევა, სახელმწიფო ან სხვა ადგილობრივი ორგანოს განკარგულებით დაზიანებული ან განადგურებული ქონება.

ბ) ტერორიზმით ან სხვა ძალადობის ქმედებით დამდგარი ზიანი.

3.2.4. მიადგა რომელიმე დაზღვეულს;

3.2.5. მიადგა პირს, რომელიც დაქირავებულია დამზღვევის ან მისი მეიჯარეებს სახელით სამუშაოს შესასრულებლად;

3.2.6. მიადგა პირს, რომელიც დაზიანდა დამზღვევის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების იმ ნაწილზე, რომელიც აღნიშნულ პირს ჩვეულებრივ აქვს დაკავებული;

3.2.7. მიადგა პირს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს, თუ - არა იგი დამზღვევის დასაქმებულს, თუკი სხეულის ზიანისთვის სარგებელი გადაიხდება ან უნდა იქნას გადახდილი უმუშევართა სოციალური დაცვის, შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის ან სხვა მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე.

3.2.8. მიადგა პირს, რომელიც დაზიანდა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობისას.

3.2.9. საქართველოს ფარგლებს გარეთ/სამედიცინო მკურნალობისათვის გაღებული ხარჯები;

3.2.10. დამქირავებლის პასუხისმგებლობა - სამუშაო პროცესის დროს დამზღვევის დაქირავებული პირების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე ან ქონებაზე დამდგარი ზიანი.

3.2.11. წმინდა ფინანსური ზარალი - პასუხისმგებლობა, რომელიც არ გამომდინარეობს სხეულის ან ქონების დაზიანებისაგან.

3.2.12. ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების, ფლობის ან მათი მართვის შედეგად დამდგარი ზიანი.

3.2.13. ფიზიკური ან კანონიერი კონტროლის ქვეშ არსებული ქონება. დამზღვევის საკუთრებაში ან ფიზიკურ ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონება, გარდა ქონებისა რომელიც დამზღვევს იჯარით ან ლიზინგით აქვს აღებული. გამონაკლისი 3.2.14. არ ვრცელდება შემდეგი სახის ქონების დაზიანებაზე: დამზღვევის მიერ დაქირავებულის პირადი ნივთები და მათი ავტომობილები;

3.2.14. მუშაობის პროცესში მყოფი ქონება - იმ ქონების ან მისი ნაწილის დაზიანება, რომელზეც დამზღვევი მუშაობდა, და ქონება დაზიანდა ამ მიზეზით.

3.2.15. დაბალი ხარისხის სამუშაოები - დამზღვევის მიერ შესრულებული დაბალი ხარისხის სამუშაოს დასრულების, შესწორების ან გაუმჯობესების ხარჯები.

3.2.16. პროდუქტების დაზიანება - თუ ასეთი ზიანი გამოწვეულია მათი დეფექტით, დამაზიანებელი თვისებებით ან მათი უვარგისობით.

3.2.17. პროდუქტების დაბრუნება - ამოღებული, უკან დაბრუნებული, შემოწმებული, შეკეთებული, შეთავსებული, შეცვლილი დაკარგული პროდუქციის დაბრუნების ან ამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები და აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობა.

3.2.18. პროდუქტებზე პასუხისმგებლობა, პროდუქტების გარანტია - დამზღვევის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის მიერ პროდუქტებზე გაცემული გარანტია და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

3.2.19. პროფესიული პასუხიმგებლობა - დამზღვევის მიერ პროფესიული რჩევა ან მომსახურების არასწორი გაწევა, ან ამდაგვართან დაკავშირებული სხვა სახის შეცდომები.

3.2.20. დიზაინი, სპეციფიკაციები, ფორმულა - დამზღვევის მიერ მიწოდებული ნებისმიერი დიზაინი, გეგმა, სპეციფიკაცია, ფორმულა ან ნივთიერება, ან მასთან დაკავშირებული შეცდომა.

3.2.21. სადამსჯელო ან საჩვენებელი ხარჯები, ჯარიმები - ყველა სახის ჯარიმები, საჩვენებელი, სადამსჯელო, ლიკვიდირებული ან გაზრდილი ხარჯები.

3.2.22. საზღვაო ხომალდი, საჰაერო ხომალდი, სხვა ხომალდი - ქონების ან სხეულის დაზიანება, რომელიც დაკავშირებულია დამზღვევის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ შემდეგი ობიექტების მფლობელობასთან, გამოყენებასთან, შენარჩუნებასთან, მუშაობასთან, კანონიერ განკარგვასთან, ჩატვირთვასთან ან გადმოტვირთვასთან:

- საწყალოსნო ან სხვა ხომალდი;
- საჰაერო ხომალდი, ნებისმიერი ქონება, რომელიც გამოიყენება აეროპორტისათვის ან საჰაერო ხომალდის დასაჯდომად;
- დამზღვევის ნივთები, რომლებიც დამონტაჟებულია საჰაერო ხომალდზე ან სხვა სახის საჰაერო მოწყობილობაზე;
- რკინიგზა, ტრამვაი, საბაგირო;
- გასართობი პარკები და დანადგარები, სტადიონები და სტენდები;
- სათხილამურო კურორტები;
- ნარჩენების გადამუშავება.

3.2.23. **ასბესტი** - ასბესტით, ასბესტის ნივთიერებებით და ასბესტის ნივთიერებების შემცველი პროდუქტებისგან წარმოქმნილი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანი ან პასუხისმგებლობა.

3.2.24. მოტყუება, დადანაშაულება, რეპუტაციის შელახვა - დამზღვევის მიერ გამოქვეყნებული ან სიტყვიერი განზრახ მოტყუება, დადანაშაულება, ან რეპუტაციის შელახვა.

3.2.25. სარეკლამო პასუხიმგებლობა -

ა) დამზღვევის მიერ უკანონო ან ცრუ ინფორმაციის მიწოდება;

ბ) სარეკლამო ხელშეკრულების შეწყვეტა, სარეკლამო იდეების უკანონო მითვისება.

გ) რაიმე გაყიდული, გასაყიდი ან სარეკლამო მომსახურებაზე ან საქონლზე, პროდუქტის სავაჭრო ნიშანზე, მომსახურების ნიშანზე ან სავაჭრო სახელზე უფლების დარღვევა ან გადაცემა და სხვა რეკლამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

3.2.26. ყველა სახის რადიოაქტიური დასხივება, მათ შორის:

ა) რადიოაქტიური დასხივება ან დაბინძურება გამოწვეული ატომური საწვავის აფეთქების შედეგად ატომური საწვავით ან ატომური მტვერით. აფეთქებაში იგულისხმება ატომური სეგმენტაციის პროცესი.

ბ) ატომური იარაღი და მისი ზემოქმედება

3.2.27. დაბინძურება

ა) სხეულის ან ქონების დაზიანება გამოწვეული პირდაპირ ან არაპირდაპირ დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოდევნით, გაჟონვით, გადაადგილებით, გაფანტვით, გამოშვებით, ქონებაზე, ხმელეთზე, ატმოსფეროში, ან წყლის ნაკადში (მიწის წყლების ჩათვლით).

ბ) სხეულის ან ქონების დაზიანება გამოწვეული პირდაპირ ან არაპირდაპირ დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოდევნით, გაჟონვით, გადაადგილებით, გაფანტვით, გამოშვებით, გამოწვეული პროდუქტებით, რომლებიც სხვა პირებმა გადააგდეს, მიატოვს, ან უარი თქვეს.

გ) დამაბინძურებელი ნივთიერებების ამოღების, განადგურების ან გაწმენდის ხარჯები.

დ) დამაბინძურებელი ნივთიერებების გაჟონვის თავიდან ასაცილებლად გაწეული ხარჯები.

3.2.28. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანი - ყველა სახის პასუხიმგებლობა ან ვალდებულება, რომელიც ეკისრება დამზღვევს ხელშეკრულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი მიადგება მესამე პირების ქონებას, სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას.

3.2.29. თამბაქო ან თამბაქოს ბოლი - თამბაქოს შემცველი პროდუქტების ან თამბაქოს ბოლის შესუნთქვით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობა.

3.2.30. მშენებლობა - მშენებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა.

3.2.31. თავდასხმა - სხეულის ან ქონების დაზიანება გამოწვეული პირდაპირ ან არაპირდაპირ დამზღვევის მიერ თავდასხმით.

3.2.32. ცვლილება დაზღვევის ობიექტის გამოყენების წესში - ცვლილება დაზღვევის ობიექტის გამოყენების ნებისმიერი არსებითი ცვლილება, რაზეც დამზღვევმა არ შეატყობინა წერილობით მზღვეველს ზიანის დადგომამდე და ეს ცვლილება გახდა ზიანის დადგომის მიზეზი.

3.2.33. მართლსაწინააღმდეგო ქმედება - დამზღვევის მიერ ჩადენილი ყალბი, უპატიოსნო, ბოროტული ან კრიმინალური ქმედება.

3.2.34. სარგებლობის დაკარგვა - არსებულ დაუზიანებელ ქონებაზე სარგებლობის დაკარგვა.

3.2.35. საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკები - ელექტრონული ან ფაქსიმილური ინფორმაციის დაკარგვასთან და მოწყობილობების მიერ არასწორ აღქმასთან დაკავშირებული რისკები.

3.3. **მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში,** სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლა ხდება მესამე პირის ქონებისთვის დამზღვევის ბრალეულობით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობიდან, იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც წინამდებარე პირობებით გამოიყენება ქონებისთვის მიყენებული ოდენობის გამოთვლისას.

3.4. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობაზე ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება მესამე პირისთვის მატერიალური კომპენსაციის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, ანაზღაურებას არ ექვემდებარება სასამართლოში და სასამართლოს გარეშე დაცვაზე გაწეული ხარჯები.

3.5. მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე დამზღვევის მიერ მესამე პირებისთვის ზიანის ანაზღაურების, ხარჯების გაწევის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების აღების, სარჩელის ცნობის, სასამართლოს მიერ დამზღვევის საწინააღმდეგოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან.

4. მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

4.1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მიმართოს მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას ზეპირად, წერილობით ან ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მზღვეველის ელექტრონული ფოსტა დაფიქსირებულია კონკრეტულ დაზღვევის ხელშეკრულებაში). პრეტენზიის ფორმის შევსება/ჩამოტვირთვა შესაძლებელია მზღვეველის ვებ.გვერდიდან - https://www.bbinsurance.ge/ka/pretenziisporma, ასევე, დაზღვევის ხელშეკრულებას დანართი #4-ის სახით ერთვის პრეტენზიის ფორმა, რომელიც განთავსებულია დაზღვევის პირობებთან ერთად შემდეგ ელ.მისამართზე: https://bbinsurance.ge/ka/terms/udzraviqonebadaremontisdazgveva.

4.2. პრეტენზიის ფორმა საერთოა, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონული ფოსტის საშუალებით წარმოსადგენი პრეტენზიისთვის, თუმცა ეს არ გამორიცხავს მზღვეველის მხრიდან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ფორმის დაუცველად გამოგზავნილი პრეტენზიის განხილვას.

4.3. მზღვეველი ვალდებულია დამზღვევისგან პრეტენზიის მიღებიდან არაუმეტეს 30 (ოცდათი)დღის ვადაში უზრუნველყოს დამზღვევისთვის წერილობითი დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხის გაცემა გამოხატულ პრეტენზიაზე. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პრეტენზიის განხილვისთვის საჭიროა დამატებითი დოკუმენტების წარმოადგენა (რაზეც ხელი არ მიუწვდება მზღვეველს), იგი წერილობით მიმართვას დამზღვევს აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით.

5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მომსახურების მიღების წესი:

5.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს ან რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, დამზღვევი ვალდებულია:

1. მზღვეველის ცხელ ხაზზე სატელეფონო შეტყობინების დატოვებით შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის თაობაზე დაუყოვნებლივ, მაგრამ შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა. შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს ზომები ზიანის შემცირებისათვის, მხოლოდ მზღვეველთან შეთანხმებით აღადგინოს დაზიანებული ქონება;

2. შემთხვევის დადგომისთანავე შეატყობინოს შესაბამისს ორგანოებს თუ მოხდება ქურდობა ან ქურდობის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა (ან განზრახულია სხვა ზიანის მიყენება) და/ან შესაბამის სახანძრო ორგანოებს და/ან შესაბამის სახელმწიფო საავარიო ორგანოებს.

3. დაფარვა C-ს შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ რისკი გამოწვეულია მეზობლის/მესამე პირის ქონებიდან, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია გამოიძახოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე კონფლიქტის არიდების და ფაქტის დადგენის მიზნით 112 (საპატრულო პოლიცია).

4. გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში, შეინარჩუნოს დაზიანებული ობიექტი მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩენილ იქნა შემთხვევის შემდგომ;

5. მზღვეველის ან მზღვეველის დავალების საფუძველზე კომპეტენტური ორგანიზაციის (შემფასებლის) მიერ განხორციელებული შეფასების შემდგომ, თავისი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენახვა იმ დრომდე, სანამ მზღვეველი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ანაზღაურების თაობაზე, ხოლო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ თუ სახეზეა სრული განადგურება ანაზღაურების დღესვე გადასცეს მზღვეველს საკუთრებაში განადგურებული (დაზიანებული) ქონება, რომლის გადაფორმების ხარჯებს დაფარავს დამზღვევი.

6. არ მიატოვოს ქონება მხოლოდ მზღვეველის განკარგულებაში.

7. შეადგინოს ქონების აღდგენა/შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;

8. საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი შეუწყოს მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) განსაზღვრული უფლებამოსილების ან მზღვეველის საქმიანობის განხორციელებაში.

5.2. **დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია:**

5.2.1. შემთხვევის დადგომიდან 30 დღის განმავლობაში მიაწოდოს მზღვეველს:

- წერილობითი ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს ზარალის დეტალურ აღწერას, დაზიანებული/დაკარგული ნივთების, მათი ღირებულებების და ზიანის საერთო ოდენობის მითითებით, ასევე დაზიანებული/განადგურებული ქონების ფოტომასალა. გათვალისწინებული უნდა იქნას დაზიანებული ქონების ღირებულება ზარალის დადგომის მომენტში.
- დეტალური ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დამზღვევი ვალდებულია თავის ხარჯზე მიაწოდოს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველანაირი ზემოთხსენებული დეტალები, გეგმები, სპეციფიკა, ანგარიშები, ასლები, დოკუმენტები, დამამტკიცებელი საბუთები და ყველანაირი ინფორმაცია და მასალა მოთხოვნასთან დაკავშირებით. ასევე ზარალის მიზეზი და გარემოება, რომელშიც დადგა ზარალი, ასევე ყველა ის ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მასალა, რაც ეხება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას და რაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მზღვეველის მიერ.
- ზიანის დადგომის თაობაზე მხოლოდ ზეპირი შეტყობინება არ ჩაითვლება საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის. თუ დამზღვევი (ან მისი მხრიდან სხვა უფლებამოსილი პირი) ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ დოკუმენტებს, მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზარალის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად.
- ხელი შეუწყოს მზღვეველს რეგრესის უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას მის ხელთ არსებული სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილებანი და ა.შ.

5.2.2. წინამდებარე პირობებითა და ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველს ასევე წარუდგინოს:

- **ხანძრის, აფეთქების, მეხის დაცემისას** – სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო დეპარტამენტის დასკვნა;
- **წყალმომარაგების, გათბობის, კანალიზაციის ან ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების აფეთქების ან ავარიის დროს** – შესაბამისი სახელმწიფო საავარიო ორგანოების დასკვნა;
- **სტიქიური უბედურებისას** – საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის მოწმობა (ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა);

5.2.2.1. ყველა შემთხვევაში და ყველა დაფარვისთვის ზარალის გამომწვევი გარემოებების გამოძიებაში შსს (შინაგან საქმეთა სამინისტრო), პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას – წერილობითი შეტყობინება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყების/მიმდინარეობის, ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

5.2.2.2. სხვა შესაბამისი ცნობები, დასკვნები, შეფასებები, ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია და მასალა, გამომდინარე სადაზღვევო შემთხვევის სპეციფიკიდან,.

5.2.2.3. ზემოთჩამოთვლილი ვალდებულებების (ერთ-ერთი ან რამდენიმე) დამზღვევის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა.

5.3. 5.2.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული და ზემოხსენებული 5.2.2.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში დაზუსტდეს (დამატებით იქნას მოთხოვნილი სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით) „მზღვეველის“ მიერ, რის შესახებაც წერილობით ეცნობოს დამზღვევს/დაზღვეულს.

5.4. 5.3. პუნქტში მითითებული დაზუსტებული (დამატებითი) დოკუმენტაციის წარმოდგენა დამზღვევს/დაზღვეულს ევალება წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ ვადებში (ხოლო თუ ასეთი ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ მზღვეველის მიერ მითითებულ ვადაში), რომლის ათვლაც დაიწყება მზღვეველის მიერ დამზღვევის/დაზღვეულისთვის ასეთი დაზუსტების შესახებ წერილობითი მიმართვის ჩაბარებიდან.

6. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

6.2. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხარეებს შორის გაფორმებული სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის თითოეულ ობიექტზე სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

6.3. ზარალის სიდიდე განისაზღვრება მზღვეველის მიერ, დაზღვეული ობიექტის დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული საბუთების საფუძველზე (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის, ბუნების დაცვის, შესაბამისი სახანძრო სამსახურის, საავარიო სამსახურების, პოლიციის, საგამოძიებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა);

6.4. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა:

6.4.2. **ქონების სრული განადგურებისას** – მისი რეალური ღირებულების ფარგლებში, ნარჩენი ღირებულების (მიუხედავად მისი ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა) და ფრანშიზის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;

6.4.3. **რემონტის სრული ზარალის შემთხვევაში** მისი რეალური ღირებულების ფარგლებში, ნარჩენი ღირებულების (მიუხედავად მისი ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა) და ფრანშიზის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა (რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: 1 კვ.მ * არაუმეტეს ხელშეკრულებასა და პოლისში მითითებული კვადრატულის ღირებულებაზე);

6.4.4. ქონების ნაწილობრივი განადგურებისას – ზარალის ოდენობას (აღსადგენად საჭირო დანახარჯებს), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის მომენტში არსებულ კონკრეტული ქონების ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა, გამოკლებული ფრანშიზა (და ცვეთა, თუ კონკრეტული პოლისით დაზღვეულია ისეთი დაზღვევის ობიექტი, რომლის მიმართც წინამდებარე პირობებით დადგენილია ცვეთის პროცენტი და პირობები).

6.4.5. რემონტის ნაწილობრივი განადგურებისას – ზარალის ოდენობას (აღსადგენად საჭირო დანახარჯებს), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის მომენტში არსებულ კონკრეტული ქონების ღირებულებას (რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: 1 კვ.მ * არაუმეტეს ხელშეკრულებასა და პოლისში მითითებული კვადრატულის ღირებულებაზე), გამოკლებული ფრანშიზა.

6.5. დამზღვევმა/მოსარგებლემ არ შეიძლება უარი განაცხადოს ნარჩენ ქონებაზე, რომელიც გადარჩა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა, ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა, ნარჩენი ქონების ღირებულება გამოიქვითება ასანაზღაურებელი თანხიდან;

6.6. ქონების სრული განადგურებისას მზღვეველი უფლებამოსილია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ნარჩენი ქონების გამოკლების გარეშე, ასეთ შემთხვევაში მზღვეველზე გადადის საკუთრების უფლება ნარჩენ ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად. აღნიშნული ქონების საკუთრების უფლების გადაცემა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.7. ქონება შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯები მისი რემონტისათვის და აღდგენისათვის, აღემატება პოლისში მითითებული შესაბამისი სადაზღვევო თანხის 75%-ს;

6.8. დაზიანებული (განადგურებული) ქონების შენახვის/დაცვის ხარჯები, რომელსაც იხდის დამზღვევი, არ შედის მზღვეველის მხრიდან გასაცემ ასანაზღაურებელ თანხაში და მზღვეველი ამ დანახარჯებს არ ანაზღაურებს.

6.9. დანახარჯები აღდგენაზე შეიცავს:

ა) დანახარჯებს რემონტის მასალებზე და სათადარიგო ნაწილებზე;

ბ) დანახარჯებს სარემონტო სამუშაოს ანაზღაურებაზე;

გ) დანახარჯებს, რომელიც საჭიროა მასალების რემონტის ადგილამდე მისატანად, სხვა დანახარჯებს გაწეულს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად;

6.10. დანახარჯები აღდგენაზე არ შეიცავს:

ა) დამატებით დანახარჯებს, გამოწვეულს დაზღვეული ობიექტის ცვლილებით ან გაუმჯობესებით;

ბ) დანახარჯებს გადარჩენაზე, პროფილაქტიკურ, დროებით, დამხმარე რემონტზე და აღდგენაზე;

გ) სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია საჭიროზე მეტი ოდენობით.

დ) სტიქიური უბედურების დროს დასუფთავების ხარჯებს (თუ ასეთი დათქმა პოლისით დამატებით არ არის განსაზღვრული).

6.11. მზღვეველი აანაზღაურებს დანახარჯებს წინასწარ რემონტზე, თუ იგი საბოლოო რემონტის ნაწილია და თუ ამით არ გაიზრდება საერთო რემონტზე გაწეული ხარჯები; დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება, სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებული ფასებიდან გამომდინარე;

6.12. აღდგენითი სამუშაოებისას, დანახარჯებიდან გამოიქვითება რემონტის პროცესში გამოსაცვლელი დეტალების, აგრეგატების და ნაწილების ცვეთა. გამოქვითვის გაანგარიშება ხდება რეალური ღირებულებიდან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღისათვის და მსგავსი ახალი ნაწილების ფასებიდან გამომდინარე.

6.13. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა:

ა) თუ დამზღვევმა არ განაცხადა მომხდარის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში, შემთხვევა კი ამას მოითხოვდა, ან შემთხვევის ფაქტი კომპეტენტური ორგანოების მიერ არ დასტურდება;

ბ) თუ დამზღვევმა, ჰქონდა რა ამის საშუალება, განსაზღვრულ ვადაში, წერილობით არ განუცხადა მზღვეველს ზიანის დადგომის შესახებ, ან თუ მის მიერ მითითებული ფაქტები სწორი არაა ან არ მიაწოდა სრულად მის ხელთ არსებული ინფორმაცია;

გ) თუ დამზღვევმა შემთხვევის დადგომამდე არ განუცხადა მზღვეველს ქონების ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შესახებ ან ქონების და მასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის განაცხადში მითითებული მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) ან/და ამ პირობებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.